რატომ გვჭირდება არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი მემკვიდრეობის მუზეუმი

მ. აბულაძე
პროფესორი

სამუზეუმო საქმიანობის ფორმირებაში არქიტექტორები XX ს-ის დასაწყისიდანვე აქტიურად იყვნენ ჩაბმული, მონაწილეობდნენ შემეცნებით ექსპედიციებში, აკეთებდნენ ანაზომებს, ჩანახატებს, იღვწოდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის გარეთ. საქართველოს სამხრეთ პროვინციებში ექვ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო სამი ექსპედიცია: –1902 წ. (ექვ. თაყაიშვილი, არქიტექტორი ს. კლდიაშვილი, ფოტოგრაფი მამუჩაიშვილი); 1907 წ. (ექვ. თაყაიშვილი, ინჟინერ-არქიტექტორი ა. კალგინი, ფოტოგრაფი ე. ლიოზენი); 1917წ. (ექვ. თაყაიშვილი, ინჟინერ-არქიტექტორი ა. კალგინი, მხატვარი ლ. გუდიაშვილი, სახალხო არტისტი მ. ჭიაურელი). ეს შრომები თავისი ფოტოებით, ანაზომებით, ჩანახატებით დღემდე ამოუწურავი და ფასდაუდებელი მასალაა მკვლევართათვის. (1)

1922-23 წწ. აგორებულმა ანტირელიგიურმა იდეოლოგიამ ბევრი მნიშვნელოვანი საეკლესიო სიძველე და ძეგლი შეიწირა. ქართველ მეცნიერთა ბაზაზე შექმნილმა კომისიებმა დარბეული ეკლესია-მონასტრებიდან ჩამოტანილი განძი შეაგროვეს და დროებით მფლობელობაში გადასცეს უნივერსიტეტს. გ. ჩუბინაშვილის თხოვნით ი. ჯავახიშვილმა საწყობად გადაქცეული შიდასაინსტიტუტო ეკლესია მიაკუთვნა ხელოვნებათმცოდნეობის კათედრას (რომლის გამგე გ. ჩუბინაშვილი იყო). და რადგან თბილისში ვერც ერთმა მუზეუმმა ვერ დაიტია, აქ დააბინავეს ის მრავალრიცხოვანი ყუთები, რომლებშიც ინახებოდა საქართველოს ფასდაუდებელი მემკვიდრეობა. რესტავრაცია და ორგანიზაცია ამ ეკლესიის სიძველეთა მუზეუმად გადასაქცევად მიმდინარეობდა უშუალოდ არქიტექტორ ნ. სევეროვის ხელმძღვანელობით. 1927-29წწ. მანვე დააპროექტა და განახორციელა „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის" მშენებლობა. ნ. სევეროვმა ქართული კულტურის გულწრფელი სამსახურისათვის სამართლიანად დაიმსახურა ქართველი ხალხის სიყვარული. ის ეწეოდა ასევე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც (ფოტო I).

ფოტო I - ნ. სევეროვი (მარცხნიდან მეორე) სამხატვრო აკადემიის ომისშემდგომი პერიოდის კურსდამთავრებულებთან. (ფოტო არქიტექტორ ლადო გიორგაძის საოჯახო არქივიდან)

ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული იყო უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში სახუროთმოძღვრებო ფაკულტეტები, სადაც ლექციებს კითხულობდნენ იმ დროის არქიტექტურული სკოლის გამოჩენილი მოღვაწენი. თვით ის ფაქტი, რომ სამხატვრო აკადემიის პირველი რექტორი იყო გიორგი ჩუბინაშვილი, მეტყველებს იმაზე, თუ რა სულისკვეთებით იზრდებოდნენ ახალგაზრდა კადრები. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიული არქიტექტურული მემკვიდრეობის ადგილზევე შესწავლას – ანაზომების, ჩანახატების შესრულებას: **„ეს აუცილებელი იყო არა მხოლოდ წარსულის სიმდიდრის გასაცნობად, არამედ ახალი ქართული ხუროთმოძღვრების ფორმირებისთვის”.** (2)

მათი მოწაფეები ზუსტად ასეთივე პასუხისმგებლობით უძღვებოდნენ არქიტექტორთა შემდგომი თაობების აღზრდას. ახალგაზრდებს ლექციებს უკითხავდნენ ისეთი რანგის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი არქიტექტორები, როგორებიც იყვნენ ვ. ბერიძე, ი. ციციშვილი, ა. ქურდიანი, გ. ლეჟავა, ვ. კედია, ი. ჩხენკელი, მ. ჩხიკვაძე და სხვები, რანგითა და პროფესიონალიზმით გამორჩეულნი (ფოტო II).

ფოტო II -. ა ქურდიანი, ს. ზაალიშვილი, ი. ჩხენკელი, ტ. კალანდარიშვილი სამხატვრო აკადემიის 1976-77 წლის კურსდამთავრებულებთან.

ბ-ნი ი. ციციშვილი ეკუთვნოდა იმ თაობას, რომლებიც, როგორც იგონებს ჩვენი დროის ასევე მაღალი რანგის თეორეტიკოსი, არქიტექტორი, პროფესორი ქ-ნი თ. ჩიჩუა, შეუმშრალი, სველი პროექტებით გამოჰყავდათ დიპლომების დაცვაზე და მეორე დღეს ფრონტზე აგზავნიდნენ. ის გმირის ვარსკვლავით მკერდდამშვენებული დაბრუნდა და, რაც ნიშანდობრივია, ეს ვარსკვლავი სწორედ თავისი პროფესიული უნარის გამოჩენით დაიმსახურა.

განუსაზღვრელია სამუზეუმო საქმიანობაში კიდევ ერთი არქიტექტორის, ძველი არქიტექტურული მემკვიდრეობის მკვლევრის, პროფ. ლონგინოზ სუმბაძის დამსახურება. მან ჩამოაყალიბა „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ” (კონსულტანტი აკადემიკოსი გ. ჩიტაია), მუზეუმისათვის 45 ჰა ფართობი გამოიყო 1960 წლის ივლისში კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. გენერალური პროექტი დამტკიცდა 1968 წელს. ეს იყო იმ დროისათვის მუზეუმის სრულიად ახალი მოდელი. (3) (ფოტო III) მუზეუმის დაგეგმარების სტრუქტურა დაფუძნებული იყო საქართველოს გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დარაიონების საფუძველზე. ყველა უბანზე ჩამოჰქონდათ შესაბამის რაიონში მოძიებული საცხოვრისების უნიკალურ ნიმუშთა ორიგინალები. ამ პროცესმა იმთავითვე გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, რადგან ზოგი თვლიდა, რომ

ასეთი ნიმუშები ადგილზე უნდა დარჩენილიყო და დაცულიყო ძეგლის სტატუსით. ამ დროს უკვე არსებობდა „კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება" (ჩამოყალიბდა 1958 წლის 9 სექტემბერს).

რასაკვირველია, ეს იქნებოდა საუკეთესო გადაწყვეტა, მაგრამ დრომ გვიჩვენა, რომ ამ მუზეუმის შექმნამ ქვეყანას გადაურჩინა დიდი სიმდიდრე ხალხური ხუროთმოძღვრებისა და შემოქმედებისა, რომელიც დღესაც ემსახურება ეროვნულ კულტურას – მუზეუმში მუდამ უამრავი დამთვალიერებელია.



ფოტო III – გენერალური გეგმა. ლ. სუმბაძე

მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ დაიშლებოდა საბჭოთა კავშირი, მოხდებოდა სამოქალაქო ომი, მიწისძვრა შეარყევდა საქართველოს, დავკარგავდთ ტერიტორიებს თავის ძეგლებიანად, თუ ასე დიდხანს გაგრძელდებოდა გარდამავალი პერიოდი, მოხდებოდა ღირებულებების გადაფასება, „ვარდების" რევოლუცია, დაინგრეოდა ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომელნიც პასუხისმგებელი იყვნენ კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაზე. ყველა სხვა უნიკალური ნიმუში ალბათ უკვე ძნელი

მოსაძიებელია. 15-20 წლის წინ „საქქალაქმშენსახპროექტის" არქიტექტორთა მცირე ჯგუფი მივლინებით გავემგზავრეთ მესხეთში, სოფელ ჩუნჩხაში ჩასახლებული აჭარელი ეკომიგრანტებისათვის ფინური სახლების ასაწყობად, რომელიც მათ ქართველმა გეოლოგებმა გადასცეს საჩუქრად. უძველეს ქართულ სოფელში, სადაც დღეს უმრავლესობა ტუფით ნაშენ სახლებში მცხოვრები სომეხი მოსახლეობაა, აღმოვაჩინეთ მანამდე უცნობი ორი უნიკალური მესხური საცხოვრისი მიწისქვეშა დარბაზებითა და მეტად საინტერესო გადახურვით. ისინი უკვე მაშინ საჭიროებდნენ რეკონსტრუქციას, ამიტომ სავარაუდოა, რომ დღეს უკვე აღარც არსებობენ. ასე დაიკარგებოდა სხვა ნიმუშებიც, რადგან დღეს ქალაქშიც კი ვერ ხერხდება ძველი უბნების საცხოვრისების შენარჩუნება. ასევე სარეკონსტრუქციოა კლასიცისტური, მოდერნის, კონსტრუქტივიზმის სტილის ნიმუშები, საბჭოთა პერიოდის ნაგებობები, რადგან ინვესტორულ ბაზარზე სწორედ მათზეა მოთხოვნა. საჭიროა ყველა ღირებული ნაგებობის სრული პასპორტიზაცია, კომპიუტერიზაცია, იურიდიული საფუძვლით აღჭურვა. ეს პროცესი მოითხოვს დიდ ძალისხმევას, ფინანსებსა და, რაც მთავარია, პროფესიონალთა მობილიზაციას საერთო ეროვნული საქმისათვის.

ისეთი მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ნიმუში, როგორიცაა ფუნიკულიორის ზედა სადგური (არქიტექტორები: ზ. და ნ. ქურდიანები, ა. ვოლობუევის თანაავტორობით) წლების მანძილზე უყურადღებობის გამო გაიძარცვა და განადგურების პირზე მივიდა, თუმცა ეს ნაგებობა შეიძლება ჩაითვალოს XX ს-ის ქართული საბჭოთა არქიტექტურის შედევრად და მთაწმინდის პანორამა ფუნიკულიორით დიდიხანია თბილისის სიმბოლოდ იქცა. (ფოტო V,VI,VII). (4)



ფოტო IV – მთაწმინდის პანორამა ფუნიკულიორით -1958 წ.



ფოტოები V, VI – მთაწმინდის ფუნიკულიორი.(ნ. და ზ. ქურდიანები, ა. ვოლობუევის მონაწ.)

1936 წელს, მოსკოვში გამოცემულ კრებულში –„Работы архитектурных мастерских моссовета за 1934 год “- რედაქცია ნამუშევრებს ასე აფასებს: – **„Колебания нашей архитектуры между двумя крайностями – голым конструктивизмом и ложно-классическим направлением – объясняются тем что еще не найдены формы и образы для воплощения величия и героики нашей эпохи.”(5)**

– ეს იყო იმ დროს ახალი არქიტექტურული ეპოქა. კრებულში თავმოყრილია უნიკალური მასალა საბჭოთა არქიტექტურული სკოლისა, რომლის ფენომენი დღემდე იწვევს ცხოველ ინტერესს მსოფლიო არქიტექტურულ სამყაროში. განსხვავებული თემატიკა, სხვადასხვა რესპუბლიკის ეროვნული არქიტექტურული სტილის ძიება და, ამავე დროს, მკაცრი ცენზურა აყალიბებდა საბჭოთა არქიტექტურას. კრებულში მიმდევრობით არის განხილული მოსკოვში მაშინ მოქმედ 10 არქიტექტურულ სახელოსნოში მოღვაწე არქიტექტორების პროექტები, მათი ნამუშევრები და გეოგრაფიული მდებარეობა. არქიტექტორთა ნუსხაში ისეთი გამოჩენილი საბჭოთა არქიტექტორების გვართა გვერდით, როგორებიც იყვნენ კ. მელნიკოვი, ვ. კოკორინი, ვკითხულობთ გ. ლეჟავას გვარსაც.



ფოტო VII- „არქიტექტურული ფანტაზიები”- არქ. გ. ლეჟავა

საინტერესოა ამავე კრებულის რედაქციის კომენტარი ცნობილ რუს არქიტექტორ კ. მელნიკოვთან დაკავშირებით – **„Многие работы архитектора К. С. Мельникова подвергались и подвергаются справедливой критике, как проявление безыдейного новаторства. новаторства, превратившегося в самоцель, в трюкачество. Примером формалистической фантастики и динамики в архитектурном творчестве может**

служить и помещаемый в сборнике проект Дома Наркомтяжпрома с абстрактно задуманным рисунком его плана, его котлованом на глубину 63 метров перед зданием и наружными лестницами на высоту 16 этажей.” (6) (ფოტო VIII, IX)





ფოტო -VIII, IX - მძიმე მრეწველობის სახალხო კომიტეტის სახლი (არქ. კ. მელნიკოვი)

სამწუხაროა, რომ ასეთი ტიპის გამოცემები, რომლებიც ქრონოლოგიურად დაგვიხატავდა გასული საუკუნის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო- საპროექტო სამუშაოებს, ჩვენთან არ შექმნილა, მაგრამ ამგვარი კვლევები უნდა წარმოებდეს.

დღეს საქმიანობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენისათვის საკმაოდ გააქტიურდა, მაგრამ დაკარგული დროის ანაზღაურება და შეცდომების გამოსწორება ასე უცებ ვერ მოხერხდება. სახელწოდება „საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო” უკვე თავისთავად გულისხმობს, რომ უდიდესი საზრუნავი და ძალისხმევა, რომელიც სამ დამოუკიდებელ, გიგანტურ სფეროს ეხება, გადანაწილებულია. ამ და წინამორბედი სამინისტროების, ცალკეული დაწებებულებისა თუ პირთა ძალისხმევით სამუზეუმო სფეროში ბევრი გაკეთდა,

მაგრამ გასაკეთებელიც უამრავია. ამასთან დაკავშირეით საგულისხმოა მცირე ამონარიდი კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის, ხელოვნებათმცოდნე ი. ქარაიას მოხსენებიდან: **„XX საუკუნის ბოლო ათწლეულების სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე ფონი შექმნა ქართული კულტურის და მათ შორის სახვითი ხელოვნებისა და მუზეუმების განვითარებისათვის, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია მუზეუმები. საქართველოში ამჟამად სხვადასხვა პროფილის (ისტორიული, ხელოვნების, მემორიალური, საბუნებისმეტყველო და სხვ.) 202 მუზეუმია.”** (7) ჩვენი მხრიდან დავსძენდით, რომ ქართულ მუზეუმთა ამ ნუსხას უნდა შეემატოს „XX ს-ის არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების მუზეუმი”. მისი ჩამოყალიბება დროის აუცილებელი მოთხოვნაა და დღეს მოღვაწე არქიტექტორთა საზოგადოება მოვალეცაა წინამორბედი თაობის, თავიანთი პედაგოგების წინაშე ამ გზით წარმოაჩინონ მათი ღვაწლი.

.ამ თემაზე საუბარი არახალია. პროფ. ი. ციციშვილის სახელობის პირველივე კონფერენციაზე ითქვა ამის შესახებ. კონფერენცია კი დაფუძნდა 2002 წ. სტუ-ს „არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის კათედრაზე” (კათ. გამგე პროფ. ნ. შავიშვილი). მას მერე ის ხუთი წელიწადია ტრადიციულად მასპინძლობს არქიტექტორთა საზოგადოებას. ჟურნალ „კავკასიის მაცნის” სპეციალურ გამოშვებაში დაბეჭდილ სტატიაში - „საბჭოთა პერიოდის საქართველოს არქიტექტურული

მემკვიდრეობის დაცვისა და ძეგლად გამოცხადების საკითხისათვის" ვასაბუთებდით არქიტექტურის მუზეუმის არსებობის აუცილებლობას. 2003 წელს იმავე ჟურნალში სამუზეუმო ცენტრის შექმნის თემას მიეძღვნა პროფ. თ. სანიკიძის სტატია- „თბილისში სამუზეუმო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ", (არქიტექტურული პროექტის ავტორი არქიტექტორი ვ. ქურთიშვილი). მანამდე აჭარის რეგიონალური არქიტექტორთა კავშირი ცდილობდა არქიტექტურული მუზეუმის ჩამოყალიბებას, თბილისში არქიტექტორთა კავშირის გაზეთ „არქიტექტურა, პროცესის" (რომელიც სამწუხაროდ დიდიხანია აღარ გამოდის.) 2000 წლის V ნომერში დაიბეჭდა არქიტექტორ ლ. გოშაძის სტატია „გვჭირდება თუ არა არქიტექტურის მუზეუმი'. ყველა ცდა უშედეგოდ დასრულდა, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ამ საქმეს სჭირდება დიდი ძალისხმევა, თანმიმდევრული მოსამზადებელი სამუშაოები და, რაც მთავარია, დიდი სურვილი.

2003 წლის ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული პროგრამით ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველომ", გამოაცხადა კონკურსი გრანტის მოსაპოვებლად თემაზე „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ფიქსაცია, დოკუმენტაცია." პროექტის წარდგენის ბოლო ვადა იყო 2003 წლის 30 ივნისი. სტუ-ს არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის ბაზაზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი: – არქიტექტორ მ. აბულაძისა და პროფესორ გ. ყიფიანის ხელმძღვანელობით. გრანტი იყო ძალიან მცირე - 5000 აშშ დოლარი. წარვადგინეთ პროექტი „არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი მემკვიდრეობის მუზეუმის შექმნის მოსამზადებელი სამუშაოები". (რეგისტრაციის № CH-30, პროექტის № 3405. ფონდში პროექტის კოორდინატორი ქ-ნ. თ. ლორთქიფანიძე) პროექტი, ჩვენი აზრით, საკმაოდ საინტერესო და საქმიანი გამოვიდა. კონკურსის შედეგები ცნობილი გახდა 2003 წლის საქტემბრის დასაწყისში. ფონდ „ ღია საზოგადოება – საქართველოს" ოფისში, სპეციალურ სტენდზე ჩვენი პროექტი გამარჯვებულ პროექტთა სიაში აღმოჩნდა. . . მაგრამ ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ჩვენი პროექტი არ დაფინანსდა და კიდევ ერთი ცდა უშედეგოდ დასრულდა.

პროფესორ ი. ციციშვილის მემორიალური კონფერენცია წელს ეძღვნება ბ-ნ გ. მირიანაშვილის ხსოვნას, რაც გვაძლებს იმედს, რომ შემაჯამებელი საუბრები გაიმართება გასული, XX ს-ის –„ოსტატების საუკუნის" სახელოვან ხუროთმოძღვართა გარშემო, მათს შემოქმედებაზე, მათს საქმიანობაზე, მათს დიდ როლზე საქართველოში არქიტექტურული სკოლის აღორძინებაში. XXI ს-ის დადგომასთან ერთად სრულიად ახალი არქიტექტურული ეპოქა დაიწყო და ეს გახსენებები ნამდვილად დროული და აუცილებელია, რადგან ის თაობა დაუმსახურებლად ეძლევა დავიწყებას. სწორედ პროფესიონალებისა და არა სხვათა მიერ და სწორედ პროფესიულ საზოგადოებაში უნდა ხდებოდეს გასული, XX ს-ის საბჭოთა პერიოდის ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის გაანალიზება და შეფასება.

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის „არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის კათედრაზე" – იქმნება კვლევები, დისერტაციები წინა თაობის გამოჩენილ შემოქმედთა შესახებ., რაც მდიდარი მემკვიდრეობაა ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის. უკვე შესრულდა დისერტაციები არქიტექტორებზე: მ. შავიშვილზე, ა. ქურდიანზე, გ. ლეჟავაზე. აღსანიშნავია, რომ სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტს გააჩნია მცირე მუზეუმი, რომელიც შეიქმნა პროფ. გ. სალუქვაძის ძალისხმევით და ინახავს ინფორმაციას აქ მოღვაწე პედაგოგ არქიტექტორებზე, მაგრამ მასალა წინა თაობის არქიტექტორებზე გაცილებით მეტია. უნდა ითქვას, რომ სამუზეუმო მასალა არქიტექტურის უახლესი ისტორიისა გაბნეულია ყოფილი დიდი საპროექტო და ყოფილი საკავშირო ინსტიტუტების არქივებში, კერძო პირების კოლექციებში, არქიტექტორთა კავშირის არქივში, არქიტექტორთა უახლოეს ნათესავებთან და მიუწვდომელია ფართო საზოგადოებისა და მკვლევართათვის, რაც მთავარია, გარკვეული დროის შემდეგ განწირულია დასაკარგავად. ჩვენი აზრით, აუცილებელია ამ მასალის: ანაზომების, ფოტოების, ჩანახატების, პროექტების მოძიება და პერიოდულად გამომზეურება, გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის, მათი სათანადოდ დამუშავება და წიგნების, ბროშურების, ალბომების სახით მიწოდება მსოფლიოსათვის, რადგან ეს უკვე მსოფლიო მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. საჭიროა ღირებული არქიტექტურული

მემკვიდრეობის აღნუსხვა, სისტემატიზაცია, კომპიუტერიზაცია და ერთ სივრცეში თავმოყრა.

საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა და, შესაძლებელია სულ მალე ევროკავშირის წევრიც გახდეს. ეს კი მრავალ მხრივ გვავალდებულებს, მათ შორისაა „ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია", რომელიც 1985 წლის 3 ოქტომბრიდან გახსნილია ხელმოსაწერად. რამდენადაც ცნობილია, საქართველო მიერთებულია ამ კონვენციას, ხოლო **„კონვენცია არსებითად ითვალისწინებს ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან მიღწევას, რომელიც ეხება მემკვიდრეობის ჩართვას ქალაქის დაგეგმარებისა და განვითარების პოლიტიკაში"** (კონვენციის განმარტებითი ბარათიდან),

საქართველოში დიდი ხანია არ აშენებულა ახალი მუზეუმი, მსოფლიო არქიტექტორებისაგან განსხვავებით, ეს თემატიკა ჩვენთან, სამწუხაროდ, არაა აქტუალური, რადგან ის კომერციულად არ ითვლება მომგებიანად, ეს მცდარი შეხედულებაა, მით უმეტეს დღეს, როცა ტურიზმის განვითარება ქვეყნის ერთერთი მთავარი მიმართულებაა.

დღეს თბილისში და არა მარტო აქ, მრავალი ძლიერი და მცირე საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს, რაც ქვეყნის აღმშენებლობაზე მიუთითებს და მისასალმებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ერთმანეთთან აღარაფერი აკავშირებთ კონკურენციის გარდა. ქალაქი აივსო „კომპიუტერული არქიტექტურის" დაშტამპული საცხოვრებელი სახლებით. ეს დიდ საშიშროებად მიგვაჩნია ქალაქის და მომავალი ახალი თაობის არქიტექტორთა კადრების აღზრდისათვისაც. კომპიუტერი შეუცვლელი დამხმარე ხელსაწყოა არქიტექტორისათვის, მაგრამ არაა ფანქარი--აუცილებელი მეგობარი არქიტექტორისა. კომერციის იარაღად ნუ გადავაქცევთ ჩვენს შემომქმედ ახალგაზრდობას.

ჩვენი დიდი სურვილია გამოცხადდეს საქველმოქმედო კონკურსი „არქიტექტურული და ქალაქმშენებლობითი მემკვიდრეობის მუზეუმის" პროექტის შესაქმნელად, რომელსაც დააფინანსებენ დღეს მოქმედი წარმატებული სამშენებლო–საპროექტო ორგანიზაციები (ისინი აქტიურად ეწევიან ქველმოქმედებას). ამით თავისთვისაც და არქიტექტურთა საზოგადოებისთვისაც ააგებენ სახლ–მუზეუმს.

ეს იქნება სრულიად ახალი მოდელის ცოცხალი მუზეუმი უნიკალური ბიბლიოთეკით, ძვირფასი არქივით, ნათელი საგამოფენო დარბაზებით, საკონფერენციო დარბაზებით, მაღალი რანგის ფოტოლაბორატორიით, კომპიუტერული ცენტრით, გამომცემლობით, ტურისტული ცენტრით, სასტუმროთი, ბანკითა და ა. შ. რაც მთავარია, ქალაქში გაჩნდება ახალი, გამორჩეული ნაგებობა, სადაც ყველა თაობის არქიტექტორისათვის იქნება საინტერესო გარემო, მოუსმენენ ერთმანეთს, მოიწვევენ უცხოელ კოლეგებს და ისაუბრებენ არქიტექტურაზე.

ცალკე სრულყოფილ შესწავლას მოითხოვს ქალაქგეგმარებითი პროექტები. ეს ურთულესი დარგი წარმატებულად ვითარდებოდა საქართველოში. რა იცის დღევანდელმა თაობამ მათი დედაქალაქის I გენერალურ გეგმაზე, რომელიც დამუშავდა 1934 წელს, ვახუშტის 1735 წლის თბილისის გეგმის შექმნიდან ზუსტად 200 წლის შემდეგ. პროექტი დამუშავდა ქ. ხარკოვში ორ სრულყოფილ ვარიანტად და იყო პირველი ოფიციალური დოკუმენტი თბილისის რეკონსტრუქციისა. აღსანიშნავია, რომ გამოცდილი ოსტატების - ი. მალაზიომოვისა და გ. შელეიხოვსკის გვერდით გამოჩნდა ახალგაზრდა ქართველი ქალაქმგეგმარებლების - ზ. ქურდიანისა და გ. გოგავას სახელებიც.. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თბილისის I გენგეგმაზე მუშაობდა 20 ეკონომისტი, სხვადასხვა სპეციალობის მაღალი რანგის 30 დამპროექტებელი, გასაგები იქნება, თუ რა უნიკალური მასალასთან გვაქვს საქმე, –**„Первокласная работа по своему качеству"-** იყო ნათქვამი მოსკოვში მკაცრ ექსპერტთა კომისიის დასკვნაში. (7) თბილისის I გენერალური გეგმა ფაქტობრივად დღევანდელი თბილისის სქემაა და აუცილებელია მისი საფუძვლიანი შესწავლა. მწირია კვლევები მომდევნო, II და III გენგეგმებისა და მათი ავტორების, საქართველოს რაიონული დაგეგმარების პროექტების შესახებ. ცოტასთვისაა ცნობილი იმ გაუგებრობათა თაობაზე, რომელიც თბილისის IV-ჯერ არარსებულ გენგეგმის გარშემოა შექმნილი მის დასასამარებლად ან საიდან ეცოდინებათ, დღეს არქიტექტორებს აღარ აქვთ თავისი ბეჭდვითი ორგანო – გაზეთი, სადაც განხილული იქნება ესა თუ ის პრობლემა, არქიტექტურთა საზოგადოება ინფორმაციულსა და ურთიერთობათა სრულ ვაკუუმში აღმოჩნდა. ეს მდგომარეობა უნდა

შეიცვალოს. ამისთვისაცაა აუცილებელი არქიტექტორების გაერთიანება ერთი იდეის – ახალი მოდელის არქიტექტურული მუზეუმის ჩამოყალიბების გარშემო და ამაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ –მათ შორის სტუდენტმა თუ, ჩვენმა დამსახურებულმა მხცოვანმა კოლეგებმა.

ახალი ტიპის მუზეუმის მოდელის შექმნა, რომელიც, შემოიკრებს სხვადასხვა თაობის ქართველ არქიტექტორებს, საუკეთესო ადგილი იქნება სამეცნიერო საქმიანობისათვის, ახალგაზრდების დახელოვნებისათვის, მრავალ დაგროვილ პრობლემაზე საუბრისათვის. მუზეუმი მხარში ამოუდგება კულტურის სამინისტროსა და პროფესიულად დაეხმარება მას ამ სფეროში ბევრი სასიკეთო საქმის განხორციელებაში.

ლიტერატურა

1. ექვ. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1952 გვ18
2. კ. სოხაძე, შ. პაპიძე. ადამიანები და ძეგლები. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბ., 1971 გვ.5
3. Л. Сумбадзе. Музей грузинской народной архитектуры и быта под открытым небом. Тб., 1978 გვ.32
4. ნ. ჯანბერიძე. ს.კინწურაშვილი. საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა. თბ. 1958 ტაბ. 13,15,18
5. Работы архитектурных мастерских моссовета за 1934 год. – М., -1936 კრ.7 გვ 6
6. იქვე
7. ი. ქარაია. კონფერენცია „კულტურის პოლიტიკა – პრიორიტეტები და სტრატეგია”- მოხსენებათა თეზისები. თბ. 2001 გვ14
8 Н.Асатиани. Грузинское советское градостроительство(1920 -1930-х г-ов) Тб.1989 გვ42.

რეზიუმე

ისეთი კულტურული მემკვიდრეობა, როგორიცაა XX ს-ის არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი პროექტები, გამოჩენილ არქიტექტორთა ესკიზები, რეალიზებული და არარეალიზებული, ან საკონკურსო პროექტები, უდავოდ, მოითხოვს სისტემატიზაციას, აღნუსხვასა და თავმოყრას ერთ სივრცეში, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისათვის. ამასვე ითვალისწინებს „ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია”, რომელიც 1985 წლის 3 ოქტომბრიდან გახსნილია ხელმოსაწერად. სტატიაში გამოთქმული მოსაზრება, „XX ს-ის არქიტექტურისა და ქალაქგეგმარებითი მემკვიდრეობის მუზეუმის” ჩამოყალიბების თაობაზე, ზუსტად ესადაგება ევროპულ თანამშრომლობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში.

Резюме

Культурное наследие XX века в сфере архитектуры и градостроительства: реализованные или нереализованные проекты, эскизы выдающихся архитекторов, конкурсные проекты зодчих – всё это, несомненно, должно быть систематизировано и собрано в одно пространство и должно стать доступным для широкой общественности. Именно это положение предусмотрено в «Конвенции охраны архитектурного наследия Европы», которая открыта для подписи с 3 октября 1985 года.Мысль, высказанная в статье о формировании «Музея архитектурного и градостроительрого наследия XX века», в точности соответствует тем задачам, которые стоят перед нами в деле европейского сотрудничества в сфере охраны архитектурных памятников.